

საინფორმაციო ბიულეტენი

ესა სამართაშორისო პარტნერი



ამ ნომერში:

ესა ცვლილებებისთვის
ემზადება

რაჭველი ფერმერის
თამამი ოცნებები

ცოდნის გაზიარება
ხალხს აერთიანებს

მცირე ბიზნესით -
დიდი ცვლილებები

მარნეულის
საკონსოლიდაციო
ცენტრი წარმატებით
აგრძელებს
საქმიანობას

მცირე გრანტები
სიღარიბის
შესამცირებლად

ქალთა მობილიზება
ხალხისათვის



იდეების

და მისწრაფებების

მხარდაჭერა

წინამდებარე პიულეტენში იმ ადამიანებს გაიცნობთ, რომლებიც თავიანთი თემის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ცვლილებას ახდენენ და სხვებსაც სტიმულს აძლევენ, წვლილი შეიტანონ ამ საქმეში. არაფერია უფრო შტამპეჭდავი, ვიდრე განვითარების შესაძლელობებს მოკლებული ადამიანების უკეთეს მომავალზე ოცნება, რომლებიც გამიშედაობს იკრებენ და მოქმედებაზე გადადიან.

“**ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ჩვენი საქმიანობით შეტარებულ ადამიანებს საშუალება ეძლევათ იდეები განახორციელონ და თავიანთ მისწრაფებები რეალობად აქციონ.** სწორედ ეს არის ქეას პროგრამული მიღების არსი.”

სომხეთში ბოლო ვიზიტისას შევნიშნე, რამდენად დაშორებულია ცენტრებს საქართველოსა და სომხეთის სასაზღვრო რეგიონში მდებარე სოფლები. ხანგრძლივი და მკაცრი ზამთრის გამო სოფლის ეკონომიკა ერევანსა და ქვეყანაში მოქმედ ბაზარს რეალურად მოწყვეტილია. მაგრამ ისეთი ადამიანები, როგორებიც გაიანე და არტაში არიან, ნახულობენ ახალ გზას, რომ თავიანთ სოფელში მცხოვრები ქალები სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით გააერთიანონ და მეწარმეობაში ჩართონ.

მე ძალიან მომწონს ქეაში მუშაობა. მომწონს, ის რომ საშუალება მეძლევა ღარიბი მოსახლეობის თანასწორობისა და სამართლიანობისათვის ვიპრძოლო. მიხარია იმის მოსმენა, როგორ ეხმარება ქეა ცენტრებიდან დაშორებულ და ეკონომიკურად სუსტ რეგიონებში მცხოვრებ ქალებს ახალი საქმეების კეთებაში, რაც მათ საკუთარი თავის რწმენას მატებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ჩვენი საქმიანობით შეტარებულ ადამიანებს საშუალება ეძლევათ იდეები განახორციელონ და თავიანთ მისწრაფებები რეალობად აქციონ. სწორედ ეს არის ქეას პროგრამული მიღების არსი.

ჩვენი მომავლის ხედვა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარების გზით სამხრეთ კავკასიის რეგიონში მშეიძლება და სტაბილურობის ხელშეწყობას. ცვლილებების მოხდენა კი მხოლოდ ერთად მუშაობითა შესაძლებელი: მთავრობის, სათემო ორგანიზაციების, სამოქალაქო და კერძო სექტორის ჩართულობით. შემდეგი ათი წლის განმავლობაში აქტიურად ვითანამშრომლებთ სწორედ ამ სტრატეგიულ პარტნიორებთან და მოკავშირებთან.

ტომას რეინოლდსი

მისიის დირექტორი

ქეა საერთაშორისო კავკასიაში

ქართულებისთვის ემზადება

ჩვენი პროგრამის მიზანია სიღარიბის, მოწყვლადობისა და სოციალური უსამართლობის შემცირება სამხრეთ კავკასიაში და მდგრადი განვითარებისათვის მდგომარეობის გაუმჯობესება, რითაც ხელს ვუწყობთ სტაბილურობასა და მშვიდობას რეგიონში.

პროგრამის სამიზნე ჯგუფი:

სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, რომელიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება ან ამ საფრთხის წინაშე დგას.

- სოციალურად და ეკონომიკურად დაუცველი (მარგინიზირებული) მოსახლეობა და/ან ცენტრებისგან დაშორებულ დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობა, რომელსაც ბაზრებზე და ძირითად სერვისებზე ხელი არ მიუწვდება;

- პოლიტიკური გარემოებების (კონფლიქტი, ჩაკეტილი საზღვრები) და/ან ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებული მოსახლეობა ან მოსახლეობა, რომელიც ასეთი საფრთხის წინაშე დგას;

- ახალგაზრდები (ასაკი 18-30);

- ქალები.

დაფინანსების ახალი წყაროები, სამიზნე ჯგუფებისათვის ახალი შესაძლებლობები, ახალი პარტნიორობები — ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმისა, თუ რას ელოდება ქართულებიდან პროგრამულ მიდგომაზე გადასვლის შედეგად.

ქეა საერთაშორისო კავკასიაში სტრატეგიული რესტრუქტურიზაციისთვის ემზადება. ეს გულისხმობს რესურსების და ძალისხმევის ახლებურ გადანაწილებას.

ბიზნეს მოდელი, რომლის შემუშავებაც მიმდინარე წელს დასრულდება, განსაზღვრავს ქეას როლს ეკოსისტემაში; მის სისტემურ ხედვას და პარტნიორებთან ურთიერთობას და ასევე ორგანიზაციის სტრუქტურის მორგებას მის ძირითად კომპეტენციებზე.

გამოვლინდა ოთხი სტრატეგიული მიმართულება, რომელიც ამ პროცესს წარმართავს:

- რისკების შემცირებისა და შედეგის გაუმჯობესების მიზნით ფინანსური რესურსების დივერსიფიკაცია;
- საინტერესო იდეების ფართო სპექტრის მოძიება, რომლებიც შესაძლებელია პოზიტიურ ცვლილებებზე მიმართულ ინიციატივებად გარდაიქმნას და ახალ საინვესტიციო წყაროებიდან დაფინანსდეს;
- ახალი, ინოვაციური, ფართო პარტნიორული ურთიერთობის დამყარება და ეფექტური კომუნიკაციის ჩართვა ამ პროცესში;
- ორგანიზაციის ფიქსირებული ხარჯების აქტივებად გადაქცევა და ეკოსისტემაში განხორციელებულ ტრანზაქციებზე საკომისიოს მიღება;

გარდა ამისა, რანჟირების შედეგად გამოიკვეთა ის სამი ძირითადი პარტნიორი, რომელიც განსაზღვრავს დროის და რესურსების ინვესტირებას: თემები, კერძო სექტორი და სამოქალაქო საზოგადოება.

პროგრამული მიდგომა ქეას სამხრეთ კავკასიაში გრძელვადიანი კონცეფციის შემუშავებაში დაეხმარა. ამასთან, პროგრამის განხორციელებას ქეა სხვა მრავალ მხარესთან ერთად აპირებს. პროგრამული მიდგომა არსებული ეკოსისტემის შესწავლის შედეგად შემუშავდა, რომელიც, თავის მხრივ, სიღარიბის გამომწვევი მიზეზების, სოციალური მდგომარეობის, ადამიანური პირობების კვლევას ეფუძნება.

ქალთა მობილიზება ხალხისათვის

“ქალების გაძლიერების მისაღწევად პირველი რიგში, საჭირო იყო მათი ძირითადი ინტერესებისა და პრობლემების გაგება,” ასე ფიქრობს გაიანე სიმონიანი, ქალაქ სისიანის თემის აქტივისტი.

სისიანი, რომლის მოსახლეობა სულ რაღაც 17 000-ია სომხეთის სამხრეთით სიუნიკის პროვინციაში მდებარეობს.

“ბევრი რამის გაგება გვინდოდა, შეგვეძლო თუ არა ეფექტური სტრატეგიის განხორციელება ქალების მობილიზებისთვის და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, როგორ აგვემაღლებინა მათი ავტორიტეტი ადგილობრივი მოსახლეობის თვალში, რათა მათ თავი ეგრძნოდ საჭიროდ, ძლიერებად და შეძლებოდათ თემის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა.

სისიანელი და მეზობელი პროვინციებში მცხოვრები ქალების გაცნობა აღმოჩენა იყო გაიანესა და მისი თანამოაზრებისთვის, რომლებიც პროექტში “სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის მშენებლობისათვის ქალთა შესაძლებლობების განვითარება” ჩაერთვნენ. პროექტს ქეა საერთაშორისო კავკასიაში და ჰელსინკის მოქალაქეთა ანსამბლეა — სომხეთის კომიტეტი ახორციელებენ.

“აღმოჩენა იყო ის, რომ ქალაქი არანაირ შესაძლებლობებს სთავაზობს აქ მცხოვრებ უამრავ განათლებულ და ნიჭიერ ქალს. ქალებს მათი შესაძლებლობების დემოსტრირების საშუალება არ ეძლევათ. ჩვენ ვფიქრობთ ეს იყო მიზეზი, თუ რატომ არ მონაწილეობენ ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქალები მთელს დროს სახლში ატარებენ და პოტენციალის რეალიზებას ვერ ახერხებენ.”

გაიანემ და მისმა გუნდმა გადაწყვიტა ორი მიმართულებით ემუშავა. პირველ რიგში, მათ ორგანიზება გაუკეთეს ღონისძიებებს, სადაც ქალებს შეეძლოთ მათი უნარჩვევებისა და მუშაობის დემონსტრირება. ტრენინგზე მიღებული გამოცდილების შედეგად - გუნდურ მუშაობის პრინციპები, ლიდერობას, სამოქალაქო ინიციატივის ორგანიზება - ჯგუფმა მედიის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მთელი ქალაქის ყურადღება მიიპყრო. ამავდროულად, მათ ადგილობრივი რესურს ცენტრი გახსნეს, სადაც ქალებს შეეძლოთ იურიდიული, ფსიქოლოგიური და ეკონომიკურ საკითხებზე კონსულტაციისთვის მიემართათ. ყველა კონსულტაციი, რომელიც აღნიშნულ ცენტრში მუშაობს, სისიანის აქტიური ჯგუფის მუდმივი ნევრები არიან და ყველა მათგანი მოსახლეობას უსასყიდლოდ ემსახურება.

ერთი წლის შემდეგ მათმა ძალისხმევამ უკვე შედეგი გამოიღო. არგინე საპაკიანი სისიანის ერთ ერთია, რომელმაც კონსულტაციით ისარგებლა და თავად გახდა ჯგუფის და სისიანის თემის აქტიური წევრი.



გაიანე სიმონიანი, თემის აქტივისტი ქალაქ სისიანიდან ფოტო: პაიპ მანველიანი/ევროკაფშირის დელფაცია სომხეთში

“აღმოჩენა იყო ის, რომ ქალაქი არანაირ შესაძლებლობებს სთავაზობს აქ მცხოვრებ უამრავ განათლებულ და ნიჭიერ ქალს. ეს იყო მიზეზი, თუ რატომ არ მონაწილეობენ ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქალები მთელს დროს სახლში ატარებენ და პოტენციალის რეალიზებას ვერ ახერხებენ.”



სურათზე: ადგილობრივი თემისა და მთაგრობის მნიაწილეობით აღდგენილი პარკი; ბავშვები პარკის გახსნის ცერემონიაზე.

ფოტო: პაიკ მანგელიანი/ევროკავშირის დელგაცია სომხეთში

პროექტი “სამხრეთ კავკასიაში მშეინარებელობისათვის ქალთა შესაძლებლობების განვითარება” დაფინანსებულია ევროკავშირის (EU) მიერ ავსტრიის გაფინანსების თანამშრომლობასთან ერთად (ADC).

“მე საოჯახო სამართლთან დაკავშირებით კონსულტაცია მივიღე და იმ დროისთვის არსებული პრობლემები მოვაგვარე. გარდა იმისა, რომ უფასო მომსახურებით ვისარგებლე, იურიდიული კონსულტაცია ჯერ ერთი ნდობით აღსავს ატმოსფეროში გამიწიეს, მეორეც კონსულტანტები ქალები იყვნენ, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო. ჩვენს ქვეყანაში იურისტების უმრავლესობა ხომ მამაკაცები არიან.”

დროთა განმავლობაში არგინეც ჯგუფის აქტიური წევრი გახდა. მისი მუსლინე თავდაპირველად ჯგუფის მუშაობასადმი სკეპტიკურად იყო განწყობილი, მაგრამ მალე ისიც ჩაერთო მათ საქმიანობაში. ადგილობრივი თემისა და მთავრობის დახმარებით ჯგუფმა ორგანიზება გაუკეთა ქალაქის სკვერის რესტავრაციას, რომელიც მოსახლეობას საშუალებას აძლევს დრო სასიამოვნო გარემოში გაატარონ.

გარდა ამისა, ღონისძიებამ ჯგუფის მუშაობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას შეუწყო ხელი.

“ახლა, მე და ჯგუფის სხვა წევრებს ქალაქში გვცნობენ და კითხვებითა და პრობლემებით მოგვმართავენ”, - ამბობს გაიანე. “უოველთვის სასიამოვნოა, როდესაც დახმარებისთვის მოგვმართავენ და კიდევ უფრო სასიამოვნოა, როცა მათი დახმარება შეგვიძლია”.

მნიშვნელოვანი ზარტები

- ქალებმა მონაწილეობა მიიღეს სწავლებაში, რომლებიც მიზნად ისახავდა სამხრეთ კავკასიის ექვს კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონში სათემო ცხოვრებაში ქალთა აქტიურობის ხელის შემსლელი ფაქტორების გამოკვლევას;
- მთელ სახმრეთ კავკასიის რეგიონში 20 ქალ აქტივისთა ჯგუფი შეიქმნა, მათ ტრენინგები შემდეგი მიმართულებით უტარდებათ: ლიდერობა, ჩგუნდური მუშაობა, სამოქალაქო ინიციატივების დაგეგმვარება და ადვოკატირება;
- აქტივისტ ქალთა ჯჯუფებმა 30 ადგილობრივი ღონისძიება განახორციელეს, რათა მომზადრიყო მათი მობილიზაცია ადგილობრივი საჭიროებების გადაწევეტის მიზნით;
- 200-ზე მეტმა ადამიანმა ისარგებლა პროექტის პარტიორი ორგანიზაციების მიერ განეული იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციებით. კიდევ უფრო მეტმა ისარგებლა აქტივისტ ქალთა ჯუფების რჩევებითა და კონსულტაციებით;
- 1500-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ტრენინგებში, გაცვლით ვიზიტებსა და მშეინარებებისა და ტოლერანტობის თემაზე ჩატარებული აქტივობებში, სადაც ხაზგასმით იქნა აღნიშნული მშეინარებების თანაცხოვრება სამხრეთ კავკასიაში.

ცოდნის გაზიარება ხალხს აერთიანებს



ფუტკარი, ნიორი და ქათმები სოფელ უსახელოში მცხოვრებ სამ ქალს სათემო კავშირების გაძლიერებაში დაეხმარა.

თამილა ყურაშვილმა, მარიკა კობერიძემ და უანა თვარაძემ ფუტკრის მოშენების ახალი გზები, ნიორის მოყვანა და ქათმის გაზრდის ახალი ტექნოლოგიები აითვისეს. ქეასგან საჭირო მასალები მიიღეს და ტრენინგები გაიარეს.

პროექტის მეშვეობით სხვადასხვა ტიპის - ვაშლის, კაკლის, ჯოლოს, კარტოფილის, სიმინდის, ნიორის, ასევე ახალი ჯიშის ქათმის მოშენებისა და მეფუტკრების სადემონსტრაციო ნაკვეთი მოეწყო. შედარებისთვის სადემონსტრაციო ნაკვეთები არსებული ნაკვეთების პარალელურად გაშენდა.

უანა თვარაძემ ახალი სახეობის 10 კილო ნიორი დათესა და რეკორდულად დიდი - 80 კილოგრამი მოსავალი მოიყვანა. ტრენინგზე უანამ ნიორის ქიმიური საშუალებებით სანერგედ მომზადება შეისწავლა, გაცვლითი ვიზიტის ფარგლებში ცაგერში, სამეგრელოში, ახალციხესა და ქუთაისში სხვა სადემონსტრაციო ნაკვეთებსაც ეწვია. მათგან ნიადაგის განაყოფიერება, ჰიბრიდების გამოყენება, ნიორი შეგროვება, შენახვა და ნივრის ბაზარზე გასატანად მომზადება ისწავლა.

უანა ფიქრობს მოყვანილი ნიორი სათესლე მასალად გაყიდოს და უფრო მეტი მოგება ნახოს. იგი ასევე პირებს მოსავლიდან თესლი შეინახოს და ხუთი წლის განმავლობაში მაღალი მოსავალი მიიღოს.

იმისათვის, რომ გახდე დემო-ფერმერი, სათემო კავშირის წევრები თანახმა არიან ინფორმაცია და მოსავლის ნაწილი სხვა ფერმერს გაუზიარონ. უანა ნიორს თავის მეზობელს თამილა ყურაშვილს აწვდის, რომელიც თავისმხრივ ბრაჟმას ჯიშის ქათმების მოშენებითაა დაკავებული. ყურაშვილი კი თავის მხრივ გამოცდილებას უზიარებს მეზობელ მარიკა კობერიძეს, რომელიც გეგმავს ფუტკრების დემო — სკები მეზობელი სოფლის მაცხოვრებლებს გააცნოს.

კობერიძეს ფუტკრის სკები მანამდეც ჰქონდა, მაგრამ საჭირო ინფორმაციის არ არსებობის გამო ფუტკრები დაეცოხა. პროექტის საშუალებით მან ისწავლა მათზე ზრუნვისა და მოშენების ახალი ტექნოლოგიები.

“სანამ პროექტი დაიწყებოდა ქალები უბრალოდ მეზობელები და მეგობრები იყვნენ, ახლა მათ აერთიანებთ ერთი საერთო ინიციატივა, რომ გაიუმჯობესონ ცხოვრება. ახლა ჩვენ ყველა ტრენინგსა თუ საქმიანობაზე ერთად დავდივართ” - აცხადებს უანა.



კობერიძე ეთანხმება და აღნიშნავს: “ამ სოფელში ჩვენ ინფორმაციას ერთმანეთს ვუცვლით, მომავალში კი არ ვაპირებთ პროექტი ასე დავტოვოთ, ჩვენი საქმიანობის გაფართოებას ვგეგმავთ”.

“პროექტში ყველა ჩაერთვება” თქვა ჟანამ. “ბავშვებიც უფრო მოტივირებულები არიან, რამდენადაც შრომას შემოსავალი მოაქცის”.

“სოფელში ჩვენ ინფორმაციას ერთმანეთს ვუცვლით, მომავალში კი არ ვაპირებთ პროექტი ასე დავტოვოთ, ჩვენი საქმიანობის გაფართოებას ვგეგმავთ.”

ფერმერებს ერთი თხონა აქვთ: “პროექტის გაგრძელების მხარდაჭერა”.

“არა მხოლოდ ჩვენთვის”, დასძინა კობერიძემ. “არამედ სოფლად მცხოვრები ხალხისათვის, ისინი თავად ისწავლიან და უკეთესი ცხოვრება ექნებათ”.

“რაჭა-ლეჩხეუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში სათემო ინიციატივების ხელშეწყობისა და სიღარიბის შემცირების პროექტი “COMBI” 2009 წლის მარტში დაიწყო და 2011 წლის ოქტომბერში დასრულდა. პროექტი დაფინანსდა ევროკავშირისა და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის მიერ (ADC).

მნიშვნელოვანი ზარტები

- სამიზნე თემების 116 საოჯახო მეურნეობაში 121 დემოფერმა დაარსდა, გამოკითხული მოსახლეობის 78 პროცენტი აცხადებს, რომ სადემონსტრაციო ნაცვეთების შესახებ ინფორმირებულები არიან;
- პროექტის ხელშეწყობით 5 სათემო ორგანიზაცია დაფუძნდა, რომლებმაც ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვა სათემო ორგანიზაციებთან კავშირები დაამყარეს;
- დაიწერა და ადგილობრივ ხელისუფლებას წარედგინა 5 თემის განვითარების გეგმა;
- ადგილობრივი მმართველობის 15%-იანი თანადაფინანსებით 5 სათემო პროექტი განხორციელდა, რომლითაც 1,120 ოჯახმა ისარგებლა;
- ცაგერში დაარსებული სასოფლო-სამეურნეო რესურს-ცენტრი ყოველწლიურად 660 ადამიანს ემსახურება;
- ადგილობრივი ხელისუფლების 25-მა და სათემო ორგანიზაციის 50-ზე მეტმა წარმომადგენელმა სხვადასხვა სახის ტრენინგი გაიარა, რომლებიც ადგილობრივი პოლიტიკის უკეთესად დაგეგმას და გადაწყვეტილების პროცესში ხალხის ჩართულობას შეუწყობს ხელს;
- გამოკითხულთა მხოლოდ 3 პროცენტი აცხადებს, რომ უკადურესად შეჭირვებულ მდგომარეობაში არიან - პროექტის დაწყებამდე 3 წლის წინ ეს მაჩვენებელი 12 პროცენტი იყო. “საშუალოდ მაცხოვრებელთა” რაოდენობა კი 45 პროცენტიდან 62.5 პროცენტამდე გაიზარდა.

რაჭველი ფერმერის თამამი ოცნებები

50 წლის ლილი ბრეგვაძე მთიან სოფელ სხვავაში, რაჭაში ცხოვ-
რობს და მესაქონლეობას მისდევს.

სოფელი სხვავა და სხვავის თემი რაჭის ცენტრს, ქალაქ ამ-
ბროლაურს, 15 კილომეტრით არის დაშორებული. ავტობუსი აქ
კვირაობით დადის. თემში სკოლა არ არის და ბავშვები ყოველდღე
უახლოეს სკოლამდე 9 კილომეტრს ფეხით გადიან.

ზამთარობით ლილი ყველს ამზადებს და მყიდველის მოლოდინში
წათხში ინახავს. ზაფხულში იგი, ძირითადად, ქალაქიდან ჩამოსულ
დამსვენებლებზე რქეს ყიდის.

მთებზე შეფენილი ხშირი და დიდებული ნაძვნარი, რომლებიც გარს
აკრავს სოფელს, ცოტა საშიშროებასაც მაღავს. ლილი ემოციურად გვი-
ჩვება, წინა დღეს საქონლის შინ მოდევინისას როგორ გადაეყარა მგლებს.

ლილი არ დაიბნა და საშველად მეზობლებისკენ გამოიქცა. სოფლის
ქალებმა, როგორც ჩვევიათ, შუშუნებით დააფრთხეს მტაცებლები.

“მოკვლით ვერ მოვკლავ, მაგრამ დავაფრთხობ მაინც,” - აღნიშნავს ლილი.

ლილს ბევრი სირთულის გადალახვა შეუძლია. ამბობს, რომ მას მერე რაც
ქეას პროექტის მონაწილე გახდა, მეტი ძალა მიეცა.

ლილის უკვე ჰყავდა სამი ფური, როცა პროექტის “სოფლის განვითარება
რაჭა-ლეჩხუმი” მიერ თანადაფინანსებით 2010 წლის ოქტომბერში ორი
ფური შეიძინა.

მესაქონლეობა შემოსავლიანი ბიზნესი აღმოჩნდა ლილისთვის და ყვე-
ლის გაყიდვებით მოგროვილი თანხით კიდევ შეიძინა რამდენიმე ფური,
ამასობაში ხბოებიც შემოემატა და საქონლის რაოდენობა 13 სულამდე
გაიზარდა.

“პროექტმა უზარმაზარი ენთუზიაზმით ამავსო,” - ამბობს ლილი.
“პროექტში ჩართვის შემდეგ ყველის წარმოება და გაყიდვა დავიწყე. მანა-
მდე ყველს არ ვყიდიდი.”

მესაქონლეობისა და ვეტერინარიის შესახებ სხვადასხვა გაცვლით ვიზ-
იტა და ტრენინგში მონაწილეობის შემდეგ ლილის საკუთარი თავისა
და ძალებისადმი რწმენა კიდევ უფრო გაუძლიერდა. იგი მხოლოდ გან-
საკუთრებულ შემთხვევებში ურკავს ქეას პროექტის ვეტერინარს ამ-
ბროლურში დახმარებისთვის, ახლა იგი ბევრ საკითხს დამოუკიდებლადაც
იოლად აგვარებს.

ლილის საქონლის რაოდენობის მატებასთან ერთად მისი ოცნებები
უფრო თამამი ხდება. ფერმერი იმედოვნებს, გაისად ზაფხულში 20 სული
საქონლი უყოლება და მის რეგიონში, სადაც ცოტა ქალი ატარებს მანქა-
ნას, იგი შეძლებს ჯიბის შეძენას. “საკუთარი ავტომანქანის შეძენა მსურს,”
ამბობს ლილი.

სურვილების ასრულებისთვის, პირველ რიგში, საქონლი უნდა ჰყავდეს
კარგად. ლილისთვის მთავარი საჭირობორიტო საკითხია პირუტყვისთვის
საკმარისი თვისი დამზადება, რადგან იგი მცირე ფართობის მინას ფლობს
და მარტო უძღვება საქმეს. მეგობრებმა ბანკიდან სესხის აღება ურჩიეს,
მაგრამ არ სურს ვიზმეს ვალი ჰქონდეს, თანაც არასტაბლური შემოსავ-
ლების მქონე ფერმერებისთვის ბანკიდან სესხის გამოტანა რთულია.

მაგრამ ლილის ეჭვიც არ ეპარება თავის მიზნების წარმატებით განხორ-
ციელებაში. “თუ რამეს დავისახვ მიზნად, მას აუცილებლად ავისრუ-
ლებ,” - ამბობს იგი. “სირთულეების არ მეშინა.

სოფლის განვითარება რაჭა-ლეჩხუმში” (RDRL) პროექტი დაფინანსებულია
შევიცარის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ.

მიზანმიზნობანი ზარტები

- შეირჩა 130 სხვადასხვა პროფილის ფერმერი, რომელთაც გადაეცა გრანტი სადემონსტრაციო ნაკვეთების მოსაწყობად;
- წარმატებული გამოცდილების გაზიარების მიზნით 600-მა ფერმერმა მიიღო მონაწილეობა გაცვლით ვზიტებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. შედეგად ფერმერების გარემოულმა ნაწილმა საკუთარი ბიზნესი წამოიწყო;
- 250-მდე ფერმერი მონაწილეობდა ტრენინგებში, სადაც გაეცვნენ ბიზნესის საფუძვლებსა და სოფლის მეურნეობის არსებულ ახალ მეთოდებსა და ტექნოლოგიებს;
- ეკოლოგიური კატასტროფების და სტრუ-ური უბედურებების რისკის შემცირების მიზნით პროექტები 20 თემში განხორციელდა;
- ამბოლაურისა და ონის მუნიცი-პალიტეტებისთვის შემუშავდა და დაიბეჭდა ეკონომიკური დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც დახმარება ადგილობრივ მთავრობას სილარიბის დაძლევაზე ორინეტირებული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში;
- 250-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა მუნიციპალური განვითარების სტრატეგიის შესახებ გამართულ სათემო შეხვედრებში. აღნიშნულმა გამოცდილებამ ხელი შეუწყო თანამონანილეობრივი დაგეგმარების პრაქტიკის შემუშავებას.



მცირე ბიზნესით - დიდი ცვლილებები



სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ქეა განაგრძობს ბიზნესის დასაწყებად მცირე გრანტების გაცემას, რათა სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო გაუწინდეს. ამასთან, აქცენტს მცირე ბიზნეში ქალების ჩართულობასა და მათი ეკონომიკური თუ სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე აკეთებს.

პროექტის - “ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის” ფარგლებში მცირე ბიზნესის დასაწყებად გრანტი 77-მა ადამიანმა მიიღო. გრანტის საშუალო მოცულობა 1000 ამერიკულ დოლარს შეადგენდა. დაფინანსდა სხვადასხვა ტიპის ბიზნესი, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და რამდენიმე სახის მომსახურების სფერო.

”ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა“ ინიცირებული და დაფინანსებულია BP-ს და მისი პარტნიორების მიერ ბაქოთბილის-ჯეიპანის ნავთობსადენის, სამხრეთ კავკასიური გაზსადენისა და საქართველოს მილსადეზის კომპანიებში.

პროგრამის მიზანია მილსადენის გასწვრივ მდებარე სოფლებში გააძლიეროს BP-სა და თემების პოზიტიური ურთიერთობა იმ თემებში ინვესტირებით, რომელიც გამოხატავს ვალდებულებას გახდეს თემის მდგრადი განვითარების მოდელი.

პროექტის მიზნის მიიღწევას განაპირობებს ორი მთავარი ქვე-ამოცანა - “ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდა, რომელიც გააუმჯობესებს მილსადენის გასწვრივ მდებარე თემების სოციალურ მდგომარეობას და მეორე - ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას”. საქმიანობები, რომელიც უზრუნველყოფს ამოცანების მხარდაჭერას ორი სახისაა. ერთი, რომელიც პირდაპირ და სწრაფ სარგებელს მოუტანს თემის წევრებს და მეორე, რომელიც შექმნის საფუძველს თემის განვითარებისათვის მომავალში. ასეთი ინიციატივების მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ: სათემო ინფრასტრუქტურის სქემა, სტრუქტურული ცვლილებები უფრო ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბებისთვის — CDI-ის განხორციელების ნაციონალიზაცია, მეტი გრანტები მცირე მენარმების ბიზნესის განსავითარებლად, სადემონსტრაციო ფერმები და სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც გაზრდის სამიზნე ოჯახების მეურნეობის შემოსავალს და სხვ.



გაგრძელება წინა გვერდიდან

ფოტოზე: პროექტის ფარგლებში მიღებული გრანტით ციალა გუგმაშვილმა სოფელ ივანოვკაში სურსათის მაღაზია გახსნა. სტატია მის შესახებ ბიულეტნის წინა ნომერში შეგიძლიათ იხილოთ.

მცირე ბიზნესით - დიდი ცვლილებები

ძირითადი შედეგები:

- დაფინანსებული ბიზნესების ხელშეწყობით 36-ზე მეტი ადამიანი დასაქმდა, მათ შორის 16 ქალი;
- გრანტის მიმღებთა 70% აცხადებს, რომ მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა;
- დაფინანსებული ბიზნესიდან მიღებული შემოსავალი ოჯახების საერთო შემოსავლის თითქმის 25% შეადგინს;
- გრანტის მიმღებთა 35% აცხადებს, რომ ბიზნესმა მათ დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო მისცა;
- გრანტის მიმღებთა 85 % ბიზნესის გაფართოებას აპირებს;
- გრანტის მიმღებთა 44% რეგულარულად ანარმოებს საბუღალტრო აღრიცხვის უურნალს;
- გრანტის მიმღებთა 70% აცხადებს, რომ მანამდე ბიზნეს საქმიანობით არ ყოფილან დაკავებული;
- გრანტის მიმღებთა 9%-მა საკუთარ ბიზნესში რეინვესტიცია მოახდინა;
- გრანტის მიმღებთა 70 % აცხადებს, რომ ამაღლდა მათი თვითშეფასება და გაუმჯობესდა ოჯახის წევრების დამოკიდებულება მათ მიმართ;
- გრანტის მიმღებთა 72% თვლის, რომ მცირე ბიზნესი ძალიან მნიშვნელოვანია სოფლის მაცხოვრებლებისთვის.

მარნეულის საკონსოლიდაციო ცენტრი წარმატებით აგრძელებს საქმიანობას

სოფელ მარაბდაში მცხოვრებ ლეილა კენკეპაშვილს რეგ
გასაყიდად ადრე თბილისში დაჰქონდა. თუმცა, უკვე 2
წელია, რაც რეგს მარნეულის ყველის საკონსალოდაციო
ცენტრში აბარებს. ზაფხულის სეზონზე თვეში დაახლოებით
500 ლიტრამდე ყიდდა. ზამთრის სეზონზე წველადობასთან
ერთად რძის რეალიზაციამაც იყლო, მაგრამ ლეილა
გაზაფხულს იმედით შეჰყურებს.

"სოფელში არც ავტობუსი დადგის, არც მიკროავტობუსი და რძის თბილისში წალება რთული იყო. ახლა რძეს ადგილზე იძარებენ, თან კარგ ფასსაც გვიხდიან. ჩემი ოჯახისთვის ეს დღიდე შეიძაბათია", - ამბობს ლეილა.

ლეილას მეზობელი თამრიკუ ალიხანაშვილი წარმოშობით რუსთავიდანაა და რექ სარეალიზაციიდ რუსთავში დაქონდა:

"ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის იყო, რომ რდის გარევეულ რაოდენობას მიკვეთავდნენ და ფულს წინასწარ მიხდიდნენ. 150 ლარის წიგნება სასეტტემპროდ ასე შევიძინე", - ამბობს თამრიკო.

გარნეულის გადამამუშავებელი ქარხანა ერთ-ერთია იმ ექვსი საკონსოლიდაციო ცენტრიდან, რომელიც პროექტის - "ფერმერები და ბაზარი" - ფარგლებში თანადაფინანსების პრინციპით შეიქმნა. საკონსოლიდაციო ცენტრი ფერმერებს საშუალებას აძლევს საკუთარი პროდუქციის რეალიზაციისათვის საჭირო დრო და ფინანსები დაზიგონ და მთლიანად პირველადი წარმოების განვითარებაზე გადაერთონ. ეს ფერმერებს სტიმულს აძლევს წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, ხარისხი და შესაბამისად შემოსაკლებიც გაზარდონ.

“პროექტთან თანამშრომლობა მართლაც რომ მნიშვნელოვანი იყო. საკონსოლიდაციო ცენტრის ასამოქმედებლად დეტალურად განვრილი გეგმა გვქონდა, მაგრამ საკმარისი ფინანსების არ გვქონდა და პროცესი დროში იწელებოდა, ”- აღნიშნა მარნეულის საკონსოლიდაციო ცენტრის დირექტორმა მამუკა ასანიძემ.

მამუკა ასანიაძე აპბობს, რომ ცენტრი საქმიანობას კვლავ ნარმატებით აგრძელებს.

“სამომავლოდ ვეგმავთ წარმოების გაფართოვებას და ნაყინის გამოშვებას. ამავდროულად ნაყინის დამამზადებელი ძველი დანადგარების ახლით შეცვლაც გვინდა”.

ქეამ სამწლიანი პროექტის „ფერმერები და ბაზარი“ განხორციელება 2011 წლის ივნისში დაასრულა. „ფერმერები და ბაზარი“ BP - სა და მისი პარტნიორების მიერ ინიცირებული და დაფინანსებული პროექტის - „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა“ - ნაწილია.

პროექტი ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის გასწვრივ მდებარე სოფლებს მოიცავდა. მისი მიზანი სასოფლო-სამეურნეო სერვისების, ასევე ბაზრის ხელმისაწვდომობის გაზრდა და ამ გზით აღნიშნულ არეალში მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება იყო.



მისამართი ვაჟაპეტე

- საკონსოლიდაციო ცენტრებთან თანამშრომლობით ფინანსური და არაფინანსური სარგებელი 792 -მა ფერმერმა მიიღო;
 - საკონსოლიდაციო ცენტრებმა ფერმერებისგან 268,000 ლარის ლირებულების პროდუქცია შეისყიდეს;
 - ფერმერების 89 % აღნიშნავს, რომ მათი ოჯახის წლიური შემოსავალი საშუალოდ 19 %-ით გაიზარდა.

მცირე გრანტები

სილარიბის შესამცირებლად



“მიწის ბიო-ჰომუსით
დამუშავება აუმ-
ჯობესებს მოსავალს
და წარმოების ფასიც
გაცილებით იაფია.
შესაბამისად, ამ ტი-
პის სასუქზე მოთხ-
ოვნა აქ მაღალია”,
— ამბობს არტაში.

შემცირებას ცდილობს. ერთი შეხედვით ამბობის მიღების მინიჭებული განვითარების მიური საქმიანობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების თვალსაზ-რისო ურბანულ ცენტრებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. მოვცელებული და დაზიანებული ინფრასტრუქტურა და ცუდად განვითარებული სატრანსპორტო კომუნიკაცია ვაჭრობას ხელს უშლის. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სოფლის მეურნეობითა და კავკაციული, მაგრამ ამ საქმიანობიდან ფულადი შემოსავ-ლების გენერირებას ვერ ახერხებს.

მაშინ როდესაც შემოსავლის მიღების წყაროები მწირია, სპიტაკის ფერმერთა ასოციაციას მიაჩნია, რომ ბიო-ჰომუსის გამოყენება სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთ უმნიშვნელოს განვითარების მიზანი იყო. მოვცელებული და დაზიანებული ინფრასტრუქტურა და ცუდად განვითარებული სატრანსპორტო კომუნიკაცია ვაჭრობას ხელს უშლის. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სოფლის მეურნეობითა და კავკაციული, მაგრამ ამ საქმიანობიდან ფულადი შემოსავ-ლების გენერირებას ვერ ახერხებს.

“ერთი კილოგრამი ბიო-ჰომუსი რვა კილოგრამ ქიმიურ სასუქს უდრის. უფრო მეტიც, მიწის ბიო-ჰომუსით დამუშავება აუმჯობესებს მოსავალს და წარმოების ფასიც გაცილებით იაფია. შესაბამისად, ამ ტიპის სასუქზე მოთხოვნა აქ მაღალია”, — ამბობს არტაში.

ჯერჯერობით, სპიტაკის ფერმერთა ასოციაციამ ტრენინგ 40 ორგანული სოფლის მეურნეობით დაინტერესებულ ქალს ჩაუტარა, ახლა ქალთა ჯგუფები წაედას და სამურნეო წარჩენს ბიო-ჰომუსის სანარმოებლად აგროვებენ. 38 წლის ლამარა ერთ-ერთია მათგანია. მისი ოჯახური ცხოვრება სხვა ქალებისას გავს: უმუშევარი ქმარი, მცირენლოვანი ბავშვები, მცირე შემოსავალი და მძიმე შრომა.

“პროფესიით ექთანი ვარ, მაგრამ სამსახური ვერ ვიშოვე,” გვითხრა მან. “მიწაზე მანამდეც ვმუშაობდი, მაგრამ ბიო-ჰომუსის გამოყენებით ვფირობ, რომ უკეთეს მოსავალს მოვიყვან და ოჯახის შემოსავალიც გაიზრდება”, — აღნიშნავს ლამარა.”

“ახლა მე გაჩვენებთ ჩვენს გმირებს. აი ისინიც — კალიფორნიული ჭიები” — არტაში ისინი მიწიდან ამოყავს და ახლოს მოაქვს. დაახლოებით ათი წითელი ჭიაყელა წადაგ-ში უცნაურ ხვრელებს აეთებს. არტაშის გმირები სინამდვილეში ორგანულ სასუქს აწარმოებენ, რომელიც ბიო-ჰომუსის სახელითაა ცნობილი.

არტაში კარაპეტიანი სპიტაკის ფერმერთა ასოციაციის პროექტის მენეჯერია. ასოციაციამ ქესაგან გრანტი მიიღო და სომხეთის ქალაქ სპიტაკში ბიო - ჰომუსის წარმოება წამოიწყო.

სპიტაკი სომხეთ-საქართველოს მოსაზ-ლვრე პატარა ქალაქია, რომელიც ტავუშის პროვინციაში მდებარეობს. საქართველო-სომხეთის მოსაზღვრე რეგიონები ეკონო-მიური საქმიანობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების თვალსაზ-რისო ურბანულ ცენტრებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. მოვცელებული და დაზიანებული ინფრასტრუქტურა და ცუდად განვითარებული სატრანსპორტო კომუნიკაცია ვაჭრობას ხელს უშლის. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სოფლის მეურნეობითა და კავკაციული, მაგრამ ამ საქმიანობიდან ფულადი შემოსავ-ლების გენერირებას ვერ ახერხებს.

სპიტაკის ფერმერთა ასოციაცია ერთ ერთია შვიდ სამო-
ქალაქო ორგანიზაციას შორის, რომელმაც პროექტ STAGE II
ფარგლებში მცირე გრანტი მიიღო. მცირე გრანტის მეშვეო-
ბით ქა მიზნად ისახავს გაძლიეროს მოსაზღვრე რეგიონებ-
ში მოქმედი სამოქალაქო ორგანიზაციები და ადგილობრივი
მოსახლეობის საჭიროებების გადაწყვეტაში დაეხმაროს.

რამდენადაც მოსახლეობას სხვადასხვა პრობლემა ანუხებს,
ნარდგენილი პროექტები.ც განსხვავებული იყო: სადრენაჟო
არხის შეკეთება, საირიგაციო არხის ალდგენა, საზაფხულო
ახალგაზრდული ბანაკის ორგანიზება, სათამაშო მოედნისა
და სკვერის მშენებლობა — ეს არასრული ჩამონათვალია,
რომელიც პროექტ STAGE II — ის ფარგლებში ადგილობრივ-
მა სამოქალაქო ორგანიზაციებმა განხორციელეს.

ადგილობრივი ინიციატივების დაფინანსებისას გარდა, ქეას
მიზნი იყო ხელი შეუწყო სამოქალაქო სექტორსა და Aaდგი-
ლობრივი თვით-მმართველობის შორის პარტნიორობას, რომ
ერთობლივად მოახდინონ პრობლემების გადაჭრა. გარდა
ამისა, ტრანსსასაზღვრო კავშირების გაძლიერების მიზნით
საქართველო და სომები მონაწილეების ჩართვით უამრავი
ერთობლივი სემინარი, ტრენინგი, ბაზრობა და გაცვლითი
ვიზიტი მოეწყო.

“მინდა ერთი მაგალითი მოვიყენო, რატომ არის ტრანს-
სასაზღვრო თანამშრომლობა მნიშვნელოვანი” — გვითხრა
არტაშმა: “ერთი თვის შემდეგ, ეს თესლი მზვანე ხახვად
გადაიქცევა. მაგრამ საქართველოში სათესლე ხახვი ფასი 2.5-
ჯერ იაფია. იქიდან რომ შემოვიტანოთ, იაფადაც გავყიდით.
აი, სწორედ ამიტომ გვჭირდება ეს კავშირები”.



მიზანებანი ზარტები

- პროექტის სამიზნე სამოქალაქო ორგანიზაციებმა
საქართველოსა და სომხეთში ადგილობრივი მოსახლეო-
ბის პრობლემების გადაწყვეტის მიზნით შვიდი პროექტი
განხორციელდა;

- პროექტმა ხელი შეუწყო საქართველოსა და სომხე-
თის სასაზღვრო რეგიონებში არსებულ ათ სამოქალაქო
საზოგადოებრივ ორგანიზაციას პარტნიორული ურთ-
იერთობების დამყარებაში, რამაც ერთბლივი პროექტე-
ბის განხორციელების შესაძლებლობა მისცა;

- ქამ პარტნიორებთან ერთად სამოქალაქო საზოგა-
დოებრივი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მთავ-
რობის წევრების უნარების ამაღლების მიზნით სემინ-
არებისა და ტრენინგების მთელი სერია ჩაატარა, რათა
მათ მიეცეთ საშუალება უკეთ შეძლონ ადგილობრივი
მოსახლეობის ინტერესების გამოხატვა;

- სასწავლო ვიზიტების, ერთობლივი ბაზრობებისა და
სემინარების შედეგად სამოქალაქო საზოგადოებრივი
ორგანიზაციებსა და ადგილობრივი მმართველობას
შორის კავშირები გაძლიერდა, ასევე მათ საშუალება
მიეცათ მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები
დაესახათ

38 წლის ლამარა სპიტაკში ბიუჟეტუს ანარმოებს და იმედი აქცს, რომ
ოჯახის შემოსავალი გაიზრდება.

პროფესიით ექთანი ვარ, მაგრამ სამსახური ვერ ვიშოვე,”
გვითხრა მან. “მინაზე მანამდეც ვმუშაობდი, მაგრამ ბიო-
პომუსის გამოყენებით ვფიქრობ, რომ უკეთეს მოსავალს
მოვიყვან და ოჯახის შემოსავალიც გაიზრდება”

საქართველოსა და სომხეთის მოსაზღვრე რეგიონებში სილარიბის დაძლ-
ევა და ნდობის ალდგენა სიფლად მდგრად განვითარების საკითხებში
სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების გზით (STAGE II) დაფინანსე-
ბულია ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) მიერ

ქეა მადლობას უხდის დონორ ორგანიზაციებს, რომლებმაც 2011 წელს
პროექტების განხორციელების საშუალება მოგვცეს:

Austrian
Development Cooperation

ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა



ევროპაშირი



BP და მისი პარტნიორები გაძო-თაღილისი-ჯეიპანის
ნავთობსადნენის, სამხრეთ კავკასიური ბაზასადნენისა და
საქართველოს მიწადენის კომანიები



გაეროს
ლოგოტიპი
უმაღლესი
კომისარიატი



ამერიკის შემოთხეული შტატების საერთაშორისო
განვითარების სააგენტო

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



NORWEGIAN MINISTRY
OF FOREIGN AFFAIRS




Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

ნორვეგიის საბარეო
საქმეთა სამინისტრო

შვეიცარიის განვითარების და
თანამშრომლობის სააგენტო



ქეა ასევე მადლობას უხდის პარტნიორებს
თანამშრომლობისთვის:

- აბხაზინტერკონტი (AIC)
- აგრობიზესისა და სოფლის მეურნეობის
განვითარების ფონდი (CARD)
- აფხაზეთის ქალთა ასოციაცია
- იუნესკოს წყლის განათლების ინსტიტუტი
- იულებით გადადგილებულ ქალთა
ასოციაცია “თანმიმდება”
- ვინკოვ საერთაშორისო (WI)
- კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო
ორგანიზაციების ქსელი (CENN)
- მიურისაფინანსო ორგანიზაცია “კონსტანტა”
- სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CIDA)
- სამოქალაქო ინიციატივების ცენტრი
- სოფლის განვითარების ასოციაცია (RDA)
- საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლების
ეროვნული ასოციაცია (NALAG)
- ქალთა პრობლემების კვლევის კავშირი
- ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტი
(FIU)
- ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი
(CTC)
- ჰერსონიკის სამოქალაქო ანსამბლების
სომხეთის კომიტეტი